ხუთშაბათი 1919 წ. მაისის 8 № 98
წლიწადი მეხუთე

ხუთშაბათი 1919 წ მაისის. 8 № 98
ფ ა ს ი 1 მან. და 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი, სახელი და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ივანე იოსების ძე, დედა ნინო ივანეს ასული ევსტაფიევები—დაი ბარბარე ივანეს ასული მეუღლე მისი ნიკოლოზ პეტრეს ძე იაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ახალციხის ბრძოლის ველზე დაჭრილ მე 6 რაზმის პორუჩიკ

**იოსებ ივანეს ძე ევსტაფიევის**

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 1—2361—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ალექსანდრე ივანეს ძე შვილები: სოფიო, მარიამ, იოსებ და ესტატე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, მაისის 8-ს წმ. ნინოს ეკლესიაში, 40 დღის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი დაუვიწყარის

**ეკატერინე გიორგის ასული ჯავახიშვილისა**

2360 წირვა დაიწყება 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 ს. 1—1

მამა ვასილი რაფაილის ძე, ბებია ნინო, დები: თამარი და ელენა, ძმა არჩილი, მამიდა ეკატერინე, დიდედები ნინა, ივლიტა, კატო, მართა და თამარი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღიდან გარდაცვალებისა ორმოცის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი 8 მაისს სოფ. თიანეთში. პირველის საყვარელი შვილის

**გიორგი (გოგა) რაფაილის ძის**

**იორამაშვილის**

2362 სულის მოსახსენიებლად. 1—1

პარასკევს **სახელმწიფო თეატრში** მაისის 9-ს

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი

ჰმართავს წარმოდგენას მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებთა სასარგებლოთ. წარმოდგენილი იქნება არაყიშვილის ოპერა

**„თქმულება შოთა რუსთაველზე"**

ფასები ჩვეულებრივია.

(1—2359—1)

კვირას, 18 მაისს 1919 წ. ქართ. კლუბის დარბაზში

დანიშნულია წლიური, საერთო კ რ ე ბ ა

**ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა**

უ წ ყ ე ბ ა: 1. კონცერტი. 2. გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება 1818 წ ანგარიშის შესახებ. 3. სამუს. სკოლის მდგომარეობა. 4. მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ. 5. მოხსენება გამგეობისა მომენტის გამოწვევის: ა) მოხსენება, რომელიც გამგეობამ წარუდგინა დამფუძნებელ კრების სახელოვნო კომისიას. ბ) გაფართოვება ქართ. სამუს. საზ. კომპეტენციისა. გ) ორგანიზაცია სამუსიკო—ხელოვნების კოლეგიისა ქართ. სამუს. საზ. დ) ფინანსიური კითხვა. ე) ურთი-ერთი დამოკიდებულება მთავრობასთან. 6. მორიგი კითხვები. 7. წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა და დამატება.

კრება დანიშნულია დილის 11 საათზე. თუ საკმარისი რიცხვი არ გამოცხადდა მაშინ მეორე კრება ინიშნება 12 ს. და ითვლება კანონიერად.

ქ. სამ. საზ. გამგეობა.

(1—63—1)

**სახელმწიფო თეატრი**

სახელმწიფო თეატრის დირექცია საოპერო გუნდში მომღერლებს იწვევს.

ხმის გასინჯვის შემდეგ მომღერლები სახელმწიფო თეატრის სამსახურში ჩაირიცხებიან და ჯამაგირი დაენიშნებათ.

ჩაწერა ჰსწარმოებს ყოველდღე, თეატრის კონტორაში, დილის 11 საათიდან—2 საათამდე.

ხმებს პირველად გაუსინჯავენ მარტის 12-ს 2 საათ.—4-ამდე.

(4—2)

**ქალაქ ქუთაისში**

ალექსანდროვის და პუშკინის ქუჩის კუთხე (ცენტრში)

ქირავდება ბაღი

**„ე ლ ი დ ი"**

საზაფხულო ბუფეტით პავილიონით და

მთელი მოწყობილობით

პირობების გაგება შეიძლება წერილობით ქალაქ ხონში ჩხიკვიშვილთან და პირადათ ქალაქ ქუთაისში სასტუმრო „გრანდ ოტელში".

6—2356—3

ქართული სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოებანი

**სახელმწიფო თეატრში**

პარასკევს, 16 მაისს, გამართავენ

**სასულიერო კონცერტი**

**ახალი ლიტურღია**

მუსიკა დ. არაყიშვილისა

## დაუჯერებელი ხმები

ხმები დადის, თითქოს ინგლისს მოეთხოვოს, რომ საქართველოს ჯარებმა არტაანი დასტოვონ. თუ ეს მართალია, ნამდვილი ოპერეტული ოინბაზობა გამოდის, რომელიც საქართველოს ხალხს აუარებელ მსხვერპლად და მწვავე ტრაღედიათ დაუჯდა. მეტია რწმუნება და დაჯერება ინგლისის ადგილობრივი სარდლობისა იმაში, რომ ახალციხის და ახალქალაქის გაუთავებელი ანარქია და შეიარაღებული სამხედრო მოქმედებანი საქართველოს ხელმწიფების წინააღმდეგ არტაანით საზრდოობდა და იკვებებოდა. ეს კარგათ იცის თვით ინგლისის სარდლობამ. ამ ამბოხებათა და აჯანყებათა მომწყობ აგენტების რეზიდენციად და სამხედრო ოპერაციის ზურგად იყო არტაანის ოლქი. იმ თავით ამ მხარეში ჩამდგარი ინგლისის სარდლობა ნებას არ გვრთავდა, ჩვენი სამხედრო ძალა წესიერად გალაშქრებულიყო, რომ ამ მოუსვენარ აგენტების საბუდარი დაეშალა და მთელს მხარეში წესიერება დაემყარებინა. საქართველოს ამისთვის ჰარბად შესწევდა საკუთარი ძალ-ღონე.

ჩვენც ვერიდებოდით, რომ ინგლისის სარდლობასთან რაიმე უსიამოვნება და კონფლიქტი არ მოგვსვლოდა და ვითმენდით საშინელს მსხვერპლს, ფულით და ადამიანებით. ბოლოს გარემოების ლოღიკამ თავისი გავლენა მოიღო და ინგლისის სარდლობის ნებართვით ჩვენმა ჯარმა ახალციხის საზღვრები გადალახა, არტაანის ოლქში შეიჭრა და თვით არტაანი დაიჭირა. საქართველოს ჯარმა ქართული ტერიტორია დაიკავა, არც მეტი, არც ნაკლები. ქართველმა ხალხმა სისხლი დაჰღვარა; დიდი მსხვერპლი კაცით და ნივთით იმიტომ გაიღო, რომ საბოლოო ლიკვიდაცია მოეხდინა არტაანით შემომავალ ანარქია აჯანყებისა. როგორც წინად ეხლაც საქართველოს ჯარი მესხეთში დარჩებოდა და არტაანში არ გადვიდოდა და წინანდებურად კიდევ ზიდავდა ზარალსა და მსხვერპლს, რომ ინგლისის სარდლობას კათეგორიული ვეტო დაედო ახალციხის საზღვრების გადალახვაზე. ამის მზგავსი არაფერი არ ყოფილა. მაგრამ დღეს, როდესაც, ნებართვის შემდეგ, საქარ. ჯარმა აუარებელი მსხვერპლით ყველა დაბრკოლება გადალახა და არტაანში შევიდა, მოთხოვნა იმისა, რომ ჯარმა არტაანი დაჰსტოვოს,—აბუჩად აგდებაა მთელი ქართველი ხალხის; გამათახსირებელი და დამამცირებელი დაცინვაა, სრულიად მიუღებელი ეროვნული ღირსებისა და სახელმწიფო ინტერესისთვის.

ჩვენ ისევე ვაფასებთ ჩვენი ჯარისკაცის სისხლს, როგორც რომელიმე სხვა ხალხი და სახელმწიფო: ისევე ვაფასებთ ეროვნულ ღირსებას, რომელიც ორი ათასი წლის სიგრძეზე დაგვიცავს, როგორც რომელიმე სხვა ხალხი და სახელმწიფო.

ჩვენ ვიბრძვით ჩვენი ტერიტორიის დასაჭერად, როგორც ყოველი სხვა ხალხი და სახელმწიფო და ისევე ვზრუნავთ სახელმწიფოებრივ პრესტიჟის დასაცავად, როგორც ყოველი ხალხი, რომელსაც თავისი მომავალი სწამს და თავისი ინტერესი შეუგნია. საქართველოს ჯარი, გაწბილებული და კუდ ამოძუებული, ამდენი მსხვერპლის შემდეგ, რომ უკან დაბრუნდეს, რა უთხრათ ქართველ ხალხს, ან რამ შეაკავოს არტაანის აგენტები და მეამბოხე-მეომარნი?! კიდევ მეტის სიძლიერისა და მეტის სიმძაფრის ანარქია ავარდება მესხეთ-ჯავახეთში, ვიდრე ეს დღემდე იყო; ამ ანარქიით იქნებ სხვა ვინმე იყოს დაინტერესებული, ხოლო საქართველო კი ვერასოდეს!

რამდენადაც ეს მოვლენა—ჯარის უკან გამოწვევა არტაანიდან—საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესისთვის მავნე და საზიანოა, იმდენად იგი ინგლისის მოქმედებისა და პოლიტიკის სახელის გამტეხიცაა და ამიტომ გვგონია, რომ ამგვარ მოთხოვნას ადგილიც არ ექნებოდა, და რომ ეს ხმები, რომელსაც საზოგადოებაში, სრულიად კანონიერად აღშფოთება და მღელვარება შეაქვს, ოფიციალურად უარყოფილი იქნება.

## ვინ გაიმარჯვებს?

პარიზის საზავო კონგრესის მუშაობა გვიმტკიცებს, რომ კონგრესის მიერ დასახული მიზანი სრულიადაც არ ეთანაბრება იმ მიმდინარეობას, რომელსაც ჰქმნის ცხოვრების ლოღიკა და ისტორიის ბუნებრივი მსვლელობა.

დღე-დღეზე აშკარავდება, რომ მომენტის კათეგორიული, ობიექტიური მოთხოვნილება ხელოვნურად იჩრდილება გამარჯვებულ კოალიციის მიერ. მართალია, დიპლომატებმა ყველაფერს ჩაილურის წყალი დაალევინეს და ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით მოვლენათა მსვლელობაზე, მაგრამ ის კანტი-კუნტად მოსული ცნობებიც საშუალებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ მსოფლიო „მონასტერი" ირევა.

მოკავშირეთა ეპოპეა რუსეთში და ზოგიერთ სხვა ადგილებში, მტკიცე საბუთია მათი პოლიტიკის სპეციფიური მიმართულებისა...

ერთ ხანს დიდი იმედები იყო იმისა, რომ ლლოიდ-ჯორჯის დემოკრატიული რეფორმების ზემოდან გატარება შიგნით, თვით დიდ ბრიტანეთში, პირველი მომასწავებელი იქნებოდა საგარეო პოლიტიკაშიც სხვა კურსის აღებისა, მაგრამ მწარე გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ მოკავშირეთა საერთაშორისო პოლიტიკა სრულებით სხვა კატეგორიისაა... აქედან იწყება ის უიმედობა, რომელმაც ამ ბოლო ხანებში იჩინა თავი არა მარტო განახლების გზაზე შემდგარ მცირე ერებში და სახელმწიფოებში, არამედ თვით მოკავშირეთა შორის. ფიუმე, კიაოჩაო, გერმანეთის კოლონიები, დანციგი, რეინის სანაპიროები და სხვა „დაწყევლილი" ადგილები კბილის მატლივით შეუჩდა ვერსალის კონფერენციას და მტკიცე თანდათანობით ულრღნის მას ისედაც დაავადებულს ხერხემალს.

ეხლა, რამდენადაც ირკვევა, არც გერმანეთი დამდგარა ისეთ გუნებაზე, რომ ხელი მოაწეროს თავის სიკვდილის განაჩენს. და ბევრი სხვა ფაქტები, ზოგი ჩვენს ყურამდე მოღწეული, ზოგიც კლემანსოს პორტფელში შენახული, თანდათან გვაძლევენ საბუთს ვიფიქროთ, რომ ვერსალის კონფერენცია, არა თუ გაუსწრებს ბრესტის კონფერენციას, არამედ შესაძლოა ჩამორჩეს კიდეც მას.

თუ პოლონურ ინფორმაციას დავუჯერებთ, გერმანული ქარხნები კვლავ ამუშავდენ იარაღისა და ტანკების დასამზადებლად.

იტალიის არმიის მთავარსარდალი უცხადებს ხალხს, რომ არმია და ფლოტი საომრად სრულიად განმზადებულნი არიან, ორლანდოს ხალხი აღფრთოვანებით ეგებება, იაპონიის დელეგატები გამწვავებულ სიტყვებს ისვრიან საზავო კონფერენციაზე და აი დღეს, აი ხვალ, ისინიც გაებუტებიან გუშინდელ მეგობრებს.

რუსეთი, როგორც ეროვნული, ველიკორუსული სახელმწიფო, აქტიურ ორგანიზაციულ ომს აწარმოებს მათ წინაალმდეგ...

ამ ფაქტების, თანდათანი გაშუქება ახალი ომების აჩრდილების წინაშე გვაყენებს დ შესაძლებლად ხდის ვიფიქროთ, რომ უკანასკნელ წუთების წინაშე მდგომი საზავო კონფერენცია აღინიშნება ისტორიაში ყოველ შემთხვევაში როგორც ისეთი მოვლენა, რომელმაც ხალხთა ურთიერთობის დამყარებაში გადამწყვეტი ხანა ვერ შეჰქმნა.

ჩვენ მეტად მოშორებული ვართ იმ აზრს, რომ ქართველ ხალხის სიმპატიები ამ თუ ძველს, ან ჩასახვის პროცესში მყოფ ახალს კოალიციებისაკენ გადავიტანოთ, მაგრამ ცხოვრების ლოღიკა და წარსული ან აწმყო ფაქტები გვაფიქრებენ, რომ ამ საერთაშორისო ომიდან ვერც დამარცხებულსა და ვერც გამარჯვებულ მხარეს ჩვენ ვერ ვიხილავთ. შესაძლოა სისხლის ნიაღვარმა უფრო იმატოს, ბრძოლაც კიდევ გაგრძელდეს ამა თუ იმ ახალ ლოზუნგის ქვეშ, და ეს ბრძოლა მხოლოდ დაასუსტებს ორთავე უკიდურესობას,—ჯერ კიდევ ცოცხალ იმპერიალიზმსა და ახლად ჩასახულ არხი—სოციალიზმს...

იქნებ, ამ უმაგალითო შეჯახებამ საბოლოოდ განწმინდოს კაცობრიობა და გამარჯვებაც თვითგამორკვეულ, საღ ეროვნულ ნიადაგზე მდგომ სახელმწიფოებს მიანიჭოს?!

ი. ხანანაშვილი,

## არტაანის გარშემო

დაჟინებული ხმებია რომ ინგლისი მოითხოვს საქართველოს ჯარების უკან გამოყვანას არტაანიდან, რომელიც იმავე ინგლისის თანხმობით ამ ორი კვირის წინად ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს.

## დამფუძნებელი კრება

**6 მაისის სხდომა.**

კრება იხსნება შუადღის 12 ს. და 15 წ., თავმჯდომარეობს **ლომთათიძე.**

**კრების საგანია:**

1. ხელოვნების კომისიის კანონ-პროექტი 26 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად 100,000 მან. გადადების შესახებ მომხსენებელია **გ. ქიქოძე.**

2. საკონსტიტუციო კომისიის მოხსენება დამფუძნ. კრების წევრთა ხელშეუხებლობის კანონის შესახებ მომხსენებელია არსენიძე.

3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კანონ-პროექტი—ხაზინის შემოსავალთა გაძლიერებისათვის ზოგიერთ საშუალებათა შესახებ. მომხსენებელია ონიაშვილი.

4. ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება საგარეო საქმეთათვის საგანგებო კომისიის არჩევის შესახებ. მომხსენებელია გ. გვაზავა.

5. ს.-რევოლიუციონერთა ფრაქციის შეკითხვა, ადეიშვილის მიერ ოკრიბაში ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ მომხსენებელია ნუცუბიძე.

მორიგ საკითხების დაწყებამდე თავმჯდომარე კრებას აცნობს დამფუძნებელ კრების წევრთა—რ. ჩიხლაძისა და გვარამაძის გარდაცვალებას და სთხოვს ფეხზე ადგომით პატივი სცენ განსვენებულთა ხსოვნას.

**26 მაისის დღესასწაულისათვის 100,000 მან. გადიდების შესახებ.**

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის ხელოვნების კომისიის წევრს ქიქოძეს.

**გ. ქიქოძე.** მოქალაქენო ხსენებული კანონპროექტი 26 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად 100,000 მანეთის გადადების შესახებ საფინანსო და საბიუჯეტო კომისიამ უკვე განიხილა და დადებითი დასკვნა უძღვნა.

ყველამ უწყის თუ რამდენად ღირს შესანიშნავი დღეა ქართველი ერის ცხოვრებაში 26 მაისი და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს კითხვა 26 მაისის მოსაწყობად 100,000 მან. გადადება არც აქ გამოიწვევს წინაალმდეგობას.

მოხსენება მიღებულია ერთხმად.

**დამფუძ. კრების წევრთა ხელშეუხებლობის შესახებ.**

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეძლევა საკონსტიტუციო კომისიის წევრ—არსენიძეს.

**არსენიძე.** მოქალაქენო მე მგონია საკითხი დამფუძნებელ კრების წევრთა იმუნიტეტის შესახებ დიდ დავას არ გამოიწვევს. დამფუძ. კრების წევრთა

# უკანასკნელი ცნობები

მოხალისეთა ჯარი ინგუშების, ოსების, ლეკების და იქ მოსახლე ქართველების შეერთებულმა ჯარმა მაისის 1-ს სასტიკად დაამარცხა, წაართვა 4 ზარბაზანი 50 ტყვიის მფრქვეველი და 500 თოფი.

მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჰოფმანის ჯარმა მიუნხენი აიღო.

ინგლისური ცნობით ბელაკუნის მთავრობა მოკავშირეებს დანებდა.

მოხალისეთა გემი „ბათომი“ ბალაკლავას მახლობლად აფეთქდა.

შვეიცარიამ პროტესტი განაცხადა იმისათვის, რომ საფრანგეთი შვეიცარიის ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევასა სცდილობს.

ჩისტოპოლის მიმართულებით საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.

---

იმუნიტეტი აუცილებელია. დამფუძნებელი კრება არის ხალხის ნება-სურვილების გამომხატველი, და რადგანაც ხალხის ნება-სურვილები ხელუხლებელია, დამფ. კრების წევრიც ხელუხლებელი უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ ვშიშობთ ვაი თუ ეს უალრესი თავისუფლება საზიანო გამოდგეს. ამიტომ ჩვენი კომისიის აზრია—1) დამფუძნებელი კრების წევრი თავის მოვალეობის ასრულების დროს თავის მოქმედებაში უპასუხისმგებლო იურიდიულად იგი ხალხის მიერ არჩეულია მას ნება აქვს თავისი აზრი და მრწამსი, ისე გამოსთქვას როგორც მას სურს—მხოლოდ იგი პასუხისმგებელია სინიდისისა და ამომრჩეველთა წინაშე. 2) დამფუძნებელ კრების წევრის მიერ ჩადენილი დანაშაული, იმ დროს როცა ის წევრობის მოვალეობას არ ასრულებს, დაისჯება ჩვეულებრივი კანონით ხოლო იმ განსხვავებით, რომ, მისი დაჭერისა და სამართალში მიცემის უფლება არავის არა აქვს გარდა თვით დამფუძნებელი კრებისა.

ეს რომ ასე არ იქმნეს მაშინ ყოველ ადმინისტრაციისა და სასამართლოს მოხელეს შეეძლება თავისი ნებით დაიჭიროს დამფუძნებელი კრების წევრები, და რამოდენიმე დღეობით დაამწყვდიოს. და ამგვარად ის სრული ბატონი იქნება კანონ-მდებელ ორგანოსი.

**ბარათაშვილი** (ს.-ფ.) მოქალაქენო თქვენ მოისმინეთ საკონსტიტუციო კომისიის მოხსენება დამფუძ. კრების წევრთა ხელ-უხლებლობის შესახებ.

კანონ-პროექტის 1 მუხლი იცავს დამფ. კრების ხელუხლებლობას. ხოლო მე-2 მუხლში ეს დაცული არ არის.

ჩემის აზრით დამფ. კრების წევრის ყოველგან და ყოველთვის ხელუხლებელი უნდა იყოს ამ კანონ-პროექტის ძალით კი სჩანს რომ დამფუძნებელ კრების წევრს უფლება არა აქვს მაგალითად სადმე მიტინგზე სთქვას თავისი მრწამსი, რადგანაც მისი შეჩერება შეუძლია უბრალო მილიციელს.

მე თქვენ გეკითხებით სად არის აქ ხელუხლებლობა?

**არსენიძე** ბატ. ბარათაშვილს უნდა რომ დამფუძნებელი კრების წევრები იმდენად უპასუხისმგებლო იყონ რომ თვით დამფუძნებელი კრების წინაშე პასუხისგებაც კი აიცდინოს. ეს არ იქნება თავისუფლება ეს იქნება თვითნებობა. მოქალაქენო, შესაძლებელია დამფუძ. კრების რომელიმე წევრი გავიდა ქუჩაზე და ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდა ასეთი დანაშაულისათვის არ უნდა დაისაჯოს?

ჩვენ არ გვინდა, რომ 130 კაცი ჩვენს რესპუბლიკაში სრული უპასუხისმგებლო გავხადოთ.

შემდეგ კითხულობს კანონ-პროექტს მუხლობრივ კანონ-პროექტი ზოგიერთ წვრიმალ შესწორებებით მიღებულ იქმნა.

**ხაზინის შემოსავლის გასაძლიერებელ ზოგიერთ საშუალებათა შესახებ.**

თავმჯდომარე:—სიტყვა ეძლევა საბიუჯეტო კომისიის წევრ ონიაშვილს.

**ონიაშვილი** თანამედროვე ომმა და განსაკუთრებით კი რევოლიუციამ როგორც ყველგან ისე ჩვენში დიდი ფინანსიური არევ დარევა გამოიწვია. ჩვენ არა გვაქვს ჯერ მტკიცე სახელმწიფო გადასახადების სისტემა. საჭირო ხდება არა-ჩვეულებრივი ზომების მიღება ჩვენ იძულებულნი ვართ ერთდროულიგადასახადი ავკრიფოთ.

გადასახადის უმთავრესი წყარო კი არის მიწა. დღეს მიწაზე შემოსავალმა საგრძნობლად აიწია. თითო დესეტინა 1—4 ათასამდე მანეთს იძლევა. და ამიტომ მას აღარც წინანდელი გადასახადი შეეფერება. ჩვენ იძულებული ვართ გადასახადი 3—5 პროცენტით ავსწიოთ.

გადასახადი გაეწერება სოფლის საზოგადოებებს იმისდამიხედვით თუ რამდენი დესეტინაა ამ საზოგადოებაში ან რა ხარისხის მიწები. და ეს საზოგადოება დაანაწილებს თავიანთ წევრთა-შორის ქონებისდაკვალობაზე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ როცა ერთ დროულ გადასახადს ვახდევინებთ ხალხს, ისინი უნდა გავათავისუფლოდ მიწაზე ყოველგვარ გადასახადებისაგან ე. ი. ისინი 1919 წლის ჩვეულებრივ გადასახადებისაგან უნდა თავისუფალი გავხადოთ. ეს ჩვენ ნუ შეგვაშინებს, რადგანც ჩვეულებრივი გადასახადი 1919 წ. მოგველის დაახლოვებით 950 ათასი მან. მაშინ, როდესაც ერთ დროული გადასახადი მოგვცემს 70 მილიონ მან

ერთ დროულ გადასახადებისაგან თავისუფალი უნდა იქმნენ საძოვრები და ტყეები და უკანასკნელნი უკვე სახელმწიფოს ხელშია.

აგრეთვე ძველი გადასახადები, რომელნიც ჯერ გადახდილნი არ არიან, კომისიის აზრით უნდა გაუქმდეს და ხაზინის შემოსავლიდგან გამოირიცხოს.

**ღლონტი** (ს. ფ.) აღნიშნავს რომ ეს დამბლას დასცემს ჩვენ სასოფლო მეურნეობას. იგი ამბობს რომ ასეთ დაბეგვრით ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა უკვე დაბლა დაცემულია. ჩვენ ერთი მხრით მხარს უჭერთ მუშათა მოთხოვნილობებს და მეორე მხრივ მრეწველებს თითქმის თავის შემოსავლის 30 პროც. კი ვართმევთ. ასეთ პირობებში ჩვენი მრეწველობა წინ ვერ წაიწევსო. ამისათვის იგი ურჩევს მთავრობას სოციალისტური გზით სიარულს. სამრეწველოების განსაზოგადოებას.

ამგვარად ქალაქში თითქმის არაფერი არ კეთდება, თუ რამე კეთდება ისიც სოფლად, და თქვენი ასეთი აწეული გადასახადი კი სოფლის მეურნეობასაც მომაკვდინებელ დამბლას დასცემსო.

ის მაინც მხარს უჭერს ფრაქციის სახელით ერთდროულ გადასახადს.

**ფინანსთა მინისტრის სიტყვა.**

მოქალაქენო! ჩვენ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გაჭივრებულ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით სახელმწიფოს აღმშენებლობის დროს და აგრეთვე ამ გადასახადს შევადარებთ არა ქაღალდის ფულს როგორც დღეს აქა ქმნეს, არამედ შევადარებთ მას პურის ღირებულებას. ჩვენ დავრწმუნდებით რომ ეს მისაღებია.

მიწას წინად საქართველოში შემოჰქონდა მხოლოდ 1 მილიონი ახლა კი შემოსავალი გამოანგარიშებულია 60 მილიონი. მიწად-მომქმედ სახელმწიფოს არ შეუძლია ვაჭრობა-მრეწველობას დაეყრდნოს და მიწა გადასახადებისაგან გაანთავისუფლოს. ვაჭარ-მრეწველთა კლასი თუმცა ისე არა როგორც წინა ორატორმა აღნიშნა, მაგრამ მაინც საკმარისად არის დაბეგრული. ახლა საჭიროა მიწადმომქმედნიც დავბეგროდ. თუ არა ისე ჩვენ ვერ ვიარსებებთ.

**ონიაშვილი.** ბ. ღლონტმა რაც არ უნდა ილაპარაკოს ბოლოს იგი მაინც სოციალიზაციამდე მივა და ის არც თუ ასეთ ადვილი განსახორციელებელია. თუ ადვილი ყოფილიყო ჯერ ამას ის სახელმწიფოები განახორციელებდნენ, რომელთა ვაჭრობა-მრეწველობა ძლიერ განვითარებულია. ჩვენ კი სადაც ერთი შესამჩნევი ქარხანაც არ მოგვეპოვება ამ გზას ვერ დავადგებით [illegible] ვისა.

კანონ-პროექტის მუხლობრივად განხილვა რამოდენიმე დღით გადაიდო.

**ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება საგარეო საქმეთა კომისიის არჩევის შესახებ.**

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს გვაზავას.

**გ. გვაზავა** მოქალაქენო! არც ერთი სახელმწიფო არ იმყოფება ისეთ მდგომარეობაში რომელშიაც ეხლა ჩვენა ვართ, შინაურ მოუწესრიგებლობასთან ერთვის საგარეო საქმეთა სირთულე; მეტად მძიმე საქმეა საგარეო ურთიერთობის მოწესრიგება.

თითქმის ყველა სახელმწიფოებშია დაარსებული განსაკუთრებული საბჭო, რომელსაც საგარეო პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელობა და გამგებლობა აქვს დავალებული.

შვეიცარია ხომ ნეიტრალური ქვეყანაა, მაგრამ იქაც არის განსაკუთრებული საბჭო რომელსაც საგარეო საქმეებს ანდობენ. ამერიკაში აღმასრულებელი ძალა ძალიან ძლიერია, პრეზიდენტს დიდი უფლება აქვს მაგრამ მიუხედავად ამისა მის ხელთ თითქმის არ არის საგარეო პოლიტიკის წარმოება: იქ ქვედა და ზედა პალატა ირჩევს კომიტეტს, რომელსაც ევალება საგარეო პოლიტიკის წარმოება.

საფრანგეთის პრეზიდენტს უფლება არ აქვს განსაკუთრებით ტერიტორიის საკითხი პირადათ გადასჭრას. ეს უფლება აქვს თვით ხალხის წარმომადგენლებს, კანონ-მდებელ ორგანოს

ჩვენი ქვეყანა არაჩვეულებრივ, განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. აქ ჩვენ დედა ქალაქში მუშაობს დღეს ამიერ კავკასიის ერთა წარმომადგენლების კონფერენცია. დამფუძნებელ კრებას ზნეობრივი უფლება არა აქვს ამ მოლაპარაკების გარედ იდგეს. გვეტყვიან, რომ ჩვენ დასტური უნდა მივცეთ კონფერენციის დადგენილებებსო მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. გაკეთდება რამე იმითი ჩვენ რომ დასტური არ მივცეთ კონფერენციის დადგენილებებს? არაფერი. მაშინ მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება სომეხ-აზერბაიჯანთან ხელახლად აიწეწება და მოგვარებული საქმე ხელ ახლად დაიშლება

ამიტომ ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია დამფუძნებელი კრება მონაწილეობას ღებულობდეს თვით ამ კონფერენციის მოლაპარაკებაში. ჩვენ ამას არ უნდა გავექცეთ თორემ ეს რომ ერთ კაცს მივანდოთ და ბოლოს ვსთქვეთ საგარეო საქმეთა მინისტრის ბრალიაო, საქმეს აღარაფერს უშველის.

გარდა ამისა, აქ, ჩვენში არის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობა, რომელთანაც ჩვენ საკუთარი პოლიტიკის წარმოება გვჭირდება. ამას გარდა საჭირო ხდება ამერიკასთან, საფრანგეთთან და სხვებთან კავშირის დაჭერა. ეს ფრიად დიდი და საჭირო საქმეა. და ამის ერთი თუ ორი კაცისათვის მინდობა შეუძლებელია.

ჩვენი წინადადება იქნება დამფუძნებელმა კრებამ აირჩიოს განსაკუთრებული კომისია საქმეთა საწარმოებლად.

კომისია საკმარისია შესდგებოდეს 10 კაცი საგანი წარმომადგენლობა პარტიათა შორის პროპორციონალურად განაწილდება, მაგალითად ს.-დ.—5. 2—ე. დ. 2—ს ფ. და 1—ს. რ.

**ფირცხალაიშვილი** (ს. დ.) ფრაქციის სახელით აცხადებს რომ მათი ფრაქ. ცია თანახმაა კომისიის არჩევისა მხოლოდ კომისია უნდა იყოს დროებითი, სანამ თბილისში მუშაობს ამიერ-კავკ. ერთა კონფერენცია შემდეგ თუ საჭიროებას დაინახავენ კომისიას არ გააუქმებენ. მას კომისიაში საკმარისად მიაჩნია 8 კაცი. ს. დ. —5 და თითო-თითო ე. დ., ს. ფ.-და ს. რ.

თავმჯდომარე კენჭს უყრის წინადადებას კომისია შესდგებოდეს 10 კაც. თუ 8 კაც. ხმის უმეტესობით გადის უკანასკნელი.

კომისიაში არჩეული არიან:

ს. დ.—კ. ჯაფარიძე, ელიავა, სალაყაია, თოფურიძე და მახარაძე.

ე. დ.—გ. გვაზავა.

ს. ფ. ს. მდივანი.

ს. რ.—გობეჩია.

**ს.-რევ. ფრაქციის შეკითხვა ადეიშვილის მოქმედების შესახებ ოკრიბაში.**

**თავმჯდომარე:** სიტყვა ეძლევა კრების წევრ—ნუცუბიძეს.

**ნუცუბიძე.** მოქალაქენო! ჩვენ ფრაქციას მოუვიდა ცნობა, რომ მილიციელთა რაზმი აწიოკებს ოკრიბის მხარეს. მე ჩემი ფრაქციის დავალებით გავემგზავრე ოკრიბაში დავიბარე აწიოკებულნი და შემდეგი გამოვარკვიე: 9 აპრილს მისულა იქ ადეიშვილი მილიციელებით ყაჩაღ მორჩაძის დასაჭერად, იგი შესდგომია მშვიდობიან მცხოვრებთა აწიოკებას. დაიბარებდა ხალხს კანცელარიის ეზოში ეტყოდა მე ვარ თქვენი ღმერთიო და ამ დროს გარს შემორტყმული მილიციელები შესაშინებლად თოფებს ესროდნენ. შემდეგ დაიბარებდა სოფლის წარმომადგენლებს შეიხმობდა ოთახში და მათ-რახისა და კეტის ცემით დაასისხლიანებდა და გარედ გამოაგდებდა. მე რომ მივედი 27 აპრილს კანცელარიის ბალკონზე კიდევ გამხმარი სისხლი აჩნდა.

რამოდენიმე უკვე მომკვდარა ცემით. ბევრი კი ავად არის.

გარდა ამისა მას სოფლები გაუძარცვავს. მანდიკორის საზოგადოებიდან მას დიდძალი სურსათი წამოუღია.

ხალხი აღშფოთებულია, იგი ეძებს მთავრობას და მის კანონიერებას.

მე ვეკითხები იცის თუ არა ეს ბატ შინაგან საქმეთა მინისტრმა და თუ იცის რა ზომებს ღებულობს.

**შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვა.**

მოქალაქენო ამ შეკითხვის შესახებ უნდა მოგახსენოთ.

დიდი ხანია ამ მხარეში თარეშობს ყაჩაღთა ბრბო ყაჩაღ-გორჩაძის მეთაურობით. ამ ბრბომ ბევრი ბოროტობა ჩაიდინა ამ მხარეში.

გუბერნიის კომისარმა და მილიციამ შესძლეს მორჩაძის ერთ საუკეთესო ამხანაგის ცნობილაძის დაჭერა მეორედ კიდევ გაიგზავნა რაზმი და მათ შესძლეს მორჩაძის სხვა ამხანაგების დაჭერა ხოლო მორჩაძე მჩატედ დაჭრილი კი მიიმალა.

ადმინისტრაციის ინსპექტორმა გაგზავნა იქ ადეიშვილის მეთაურობით მილიციელები სოფლად მათ შეუერთდა ადგილობრივ აზნაურთა რაზმი და დაიწყეს უწესოების ჩადენა, რაზმმა დაუწყო სოფლებს საშინლად დაწიოკება.

17 აპრილს ადმინ. ინსპექტორს წარუდგა სოფლების წარმომადგენლები და მოახსენეს რაზმის მიერ სოფლების აწიოკება. ინსპექტორმა მაშინვე რაზმი უკან გამოიწვია და საქმის გამოძიებას შეუდგა:

მე უნდა განვაცხადო რომ ეს რაზმი იქცეოდა ისე როგორც არ მოიქცეოდა ძველი დროის ეგზეკუციაც კი. მაგრამ ამისათვის ისინი სასტიკად დაისჯებიან.

ჩვენ გვისაყვედურებენ თქვენ ადმინისტრატიულ ზომებს მიმართავთო.

ბატონებო იმიტომ რომ სასამართლო ჯერ ჩვენში ძლიერი არის. ასე იქცეოდა ყველა რევოლიუციონური მთავრობა და ასე ვიქცევით ჩვენც

კამათი შემდეგ კრებისათვის გადაიდო.

კრება დაიხურა ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე.

# განათლების სამინისტროში

**ტანვარჯიშობის მეცადინეობის შემოღება სკოლებში.**

განათლების სამინისტრომ დასაბუთებული მოხსენება წარადგინა მთავრობაში ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში ტანვარჯიშობის გაკვეთილების შემოღების შესახებ. სამინისტროს აზრით ერის აღდგენისა და აყვავების საკითხში ერთი დიდი როლთაგანი შეიძლება ითამაშოს მიზან შეწონილად დაყენებულმა ტანვარჯიშობაში მეცადინეობამ, რადგან, საკმარისად ცნობილია, რომ ტანისა და გონების ჰარმონიულათ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. იგი აჩვევს ადამიანს საკმაო თავდაჭერილობას და სიმამაცეს საშიშროების წინაშე, აჩვევს მას მუყაით და სისტემატიურ შრომასა და სასწავლებლებში კი ჯგუფური ფიგურების ასრულებით აჩვევს მას საზოგადოებრივ ცხოვრეიას. ხსენებული მოხსენების თანახმად სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში შემოღებულ იქმნეს ტანვარჯიშობის გაკვეთილები. ერთის მხრით მოხსენებულ საგნის სწავლება ხელს შეუწყობს მოწაფეებში ჰარმონიულათ გონებისა და ტანის განვითარებას და მასთან გააჯანმრთელებს მის აგებულებას, და შეაჩვევს სიმკვირცხლეს. ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა დანიშნულ იქნეს ერთი მთავარ-გამგე, რომელსაც ორი თანაშემწე ეყოლება და რომელნიც სპეციალურათ გაუწევენ ხელმძღვანელობას ამ საკითხის ცხოვრებაში გატარებს.

მთავარ-გამგეს ჰნიშნავს მინისტრი ქართულ საგიმნასტო საზოგადოების „შევარდენის“ წარდგენით. მთავარ-გამგესთან იარსებებს საბჭო სპეციალისტებისა, რომელიც შეიმუშავებს ხოლმე ხსენებულ საგნების გაკვეთილების სათანადო გეგმებს და იზრუნებს სათანადო ხელმძღვანელობის გამოცემაზე. განათლების სამინისტროს აზრით ხსენებული ზომის გატარება, რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა მოხდეს.

**26 მაისის დღესასწაულისათვის.**

კომპოზიტორ ბ-ნ კოტე ფოცხვერაშვილს განათლების სამინისტროს მიერ უფლება მიეცა თბილისის საშუალო სასწავლებლის მოწაფეთაგან შეადგინოს გუნდი სადღესასწაულო ზეიმობაში მონაწილეობის მისაღებად. ბ-ნი ფოცხვერაშვილი ხსენებული გუნდის მოწაფე წევრებთან ყოველ-დღე თითო საათს იმეცადინებს.

# მთავრობის ცნობები

29 აპრილს მთავრობამ დაადგინა

**რკინის გზელთათვის ჯამაგირების მომატებისათვის.**

კანონ-პროექტი სახაზინო რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ მოწონებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებულ კრებას განსახილველად.

**შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტი.**

შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტი მოწონებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**სამინისტროების ახალი ბინა.**

სამინისტროების დებულების შედგენა დაევალოს იუსტიციის მინისტრს.

---

სატეხნიკო თათბირის მიერ შედგენილი პროექტი ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში, რესპუბლიკის სამინისტროების მთავრობისა, დამტკიცებულ იქმნას.

---

1) ყოფილ კად. კორპუსი გადაკეთდეს და იქ მოთავსდეს მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტი და პირადი კანცელარია მთავრობის საქმეთა სამმართველო.

ამავე შენობაში მოთავსდეს გზათა დეპარტამენტი.

2) ეხლავე განთავისუფლებულ იქმნას ეს შენობა იქ მყოფ დაწესებულებათაგან.

3) გადაიდოს ხსენებულ შენობის გადასაკეთებლად 500,000 მან. 10 მილიონ. ფონდიდან.

4) დაევალოს სატეხნიკო თათბირს მთავრობას წარმოუდგინოს დასამტკიცებლად მუშაობის ორგანიზაციის პროექტი.

5) ხსენებულ შენობის გადამკეთებელ კომისიაში მთავრობის მხრივ დაინიშნოს შრომის მინისტრის ამხანაგი გ. პ. ერაძე.

3 მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**თანამდებობაზე დანიშვნები**

თბილისის საგანგებო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად დაინიშნოს მელქისედეკ კანდელაკი, გ. შალიბაშვილი, ვ. ლ. ვაჩნაძე, თ. სოლოღაშვილი და გიორგი ნატროშვილი.

**გაგრის კლიმატიურ სადგურის ჯამაგირებისათვის**

გადაიდოს ათ-მილიონ ფონდიდან ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 80,000 მანეთი გაგრის კლიმატიურ სადგურის მუშების ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.

**პოლკოვნიკ წერეთლის გადაყენება**

პოლკოვნიკი წერეთელი გადაყენებულ იქმნას სამსახურიდან და მის მოქმედების შესახებ დაინიშნოს გამოძიება.

---

განმარტებულ იქმნას, რომ სასულიერო შენობები სახელმწიფო ქონებას შეადგენენ.

# საქართველო „ტაიმსში“

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ინგლისურ გაზეთ „ტაიმსში“ დაბეჭდილია წერილი—კორესპონდენცია საქართველოდან; წერილი მოკლებულია თურმე ყოველგვარ ობიექტივობას. სავსეა ყალბი ფაქტებით. მოვლენები მრუდეთ არის გაშუქებული და დაფასებული. ავტორს ეტყობა წინასწარი მტრული განზრახვა. საქართველოს ყოველგვარი ღირებულება განიავებულია. საქართველოსი და სხვა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა ზღაპრად აქვს მიჩნეული.

# ქრონიკა

✦ **გაფიცვა აზერბეიჯანის რესპუბლიკაში,** 6 მაისს დილის 6 საათზე თბილისიდან ბაქოსაკენ გასული სახალხო მატარებელი უკანვე დააბრუნეს სადგურ სალოღლიდან. საღამოს თბილისის სადგურზე ჰყიდდენ ბაქოს ბილეთებს მაგრამ ხალხს აფრთხილებდნენ შესაძლებელია ისინი სადგურ სალოღლიდან დაებრუნებინათ. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა რომ აზერბეიჯანის ყველა პროფესიის მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. მიზეზი მუშაობის კოლექტიურ ხელშეკრულობის მოთხოვნილობა და ინგლისის მიერ ბაქოდან ასტრახანში ბოლშევიკებისათვის ნავთის გატანის აღკრძალვაა.

✦ **უფასო პირველ-დაწყებითი სწავლის შემოღებისათვის.** განათლების სამინისტროს განზრახული აქვს შემოიღოს საერთო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლა. ამისათვის საჭიროა გამოცდილი სახალხო მასწავლებლები. იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა რესპუბლიკის სასოფლო სემინარიებს, წარმოადგინონ მოხსენება თუ რამდენი პარალელური განყოფილების გახსნაა საჭირო მასწავლებლების მოსამზადებლად

**განათლების სამინისტრომში დანიშვნა** საშუალო სასწავლებელთა მთავარ გამგედ ფოთის გიმნაზიის დირექტორი დანელია დაინიშნა.

# ბოროტმოქმედებანი

✦ **მკვლელობა.** 6 მაისს დილის 5 საათზე სასტუმრო „ბრიუსელში“ ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა ხმაზედ მისულმა მილიციელმა შეიპყრო მსროლელი დ კომისარიატში წაიყვანა მილიციელს წინ გადაეღობა ვიღაც ოფიცერი, რომელმაც თავი საგანგებო რაზმის ოფიცრად აღიარა და მილიციელს უბრძანა ტუსაღის განთავისუფლება. ამ დროს დატუსაღებულმა მილიციელს ხელიდან გამოსტაცა რევოლვერი და მოჰკლა იქ მდგომი მილიციელი ბარდიზოვი. მკვლელი ქუთაისის მილიციელი ოძანიშვილი აღმოჩნდა.

✦ **თვითმკვლელობა.** 6 მაისს შუადღის 2 საათზე (ვარვარინის ქ. № 6) 15 წლის ყმაწვილმა ვლ. ჯაფარიძემ რევოლვერით თავი მოიკლა.

✦ **ქურდობა.** 6 მაისს ღამით თბილისის სამაზრო ერობის საწყობიდან (ალექსანდროვის ბაღში), ბოროტმოქმედებმა 7,300 მან. ღირებული სხვადასხვა საქონელი მოიპარეს.

✦ 6 მაისს ღამით გუნიბის და მატინოვის ქუჩით მიმავალ ლელი ჯაფარიძეს და ტიციან ტაბიძეს თავს დაესხნენ ოთხი შეიარაღებული მძარცველი. მძარცველებმა ლელი ჯაფარიძეს გახადეს პალტო და წაიღეს ოქროს საათი და 950 მანეთი ფული.

როცა ერთმა თავდამსხმელთაგანმა იცნო პოეტები მოსთხოვა სხვებს თავის დანებება, მაგრამ პირველმა მოასწრო წაღება ნაძარცვის და გაქცევა. მძარცველები შეიარაღებული იყვნენ ნოგანის რევოლვერებით და ერთს ეცვა მილიციონერის ფორმა.

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ჩვენ გაზეთის მეთაურში შემდეგი კორრექტურული შეცდომაა—დაბეჭდილია: „ყოველ კუთხიდან მუშაობდნენ“, უნდა იყოს „ყოველ კუთხიდან მიეშურებოდნენ“...

# დამფუძნებელ კრების გარშემო

**დამფუძნებელი კრების პარასკევის 9 მაისის სხდომის** დღიურ წესრიგში სხვათა შორის შედის.

1—ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა მიხეილ მღვდლიშვილის დათხოვნის შესახებ.

2—შეკითხვა ერ. დემ. ფრაქციისა ძეგვის ხიდის ამფეთქებელთათვის სიკვდილის დასჯის 12 წლის კატორღით შეცვლის შესახებ.

3—შეკითხვა ეროვ. დემ. ფრაქციისა მთავრობისადმი ძეგვის ხიდის ამფეთქებელთა სრულიად განთავისუფლების შესახებ.

# ძირითადი კავშირი მუსიკასა და ცხოვრებას შორის

ვიმეორებთ, რომ მუსიკას სხვა თვისებაც აქვს,—უფრო მახლობელი ადამიანისათვის, უფრო ხელმისაწვდომი და ძლიერი, ამიტომაც უფრო სანუკვარო და ძვირფასია ჩვენთვის, ვინაიდან უნარი მისის ზედმოქმედებისა ფართოა და ვრცელი.

ძველ დროიდანვე მუსიკა თანამორბედი იყო ადამიანისა, მისი თანაშემწე და ნუგეშის-მცემელი; ძველ საბერძნეთში, ეგვიპტეში და სხვაგან, ყოველგვარი მუშაობა ჰსწარმოებდა სამუსიკო ინსტრუმენტების დაკვრით; მაგ: ქალაქ თივს რომ სთხრიდნენ, არქეოლოგებმა იპოვნეს მხატვრობა, რომელზედაც გამოსახულია პურის ცხობა; პურის მცხობლებს თავს ადგანან რიგი დედაკაცების, რომელნიც ფლე-

[illegible]

[illegible] ი. კარგარეთელი.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).
7 მაისი.

## იტალიის პრესა.

**მიუნხენის ალება.**

[illegible]

**ბელაკუნის მთავრობის დაცემა.**

[illegible]

**ფინანსიური კომისიის სხდომა.**

[illegible]

**ამერიკის პალატის წევრები პარიზში.**

გუშინ სამთა საბჭოს სხდომის წინ ვილსონმა მიიღო ამერიკის დეპუტატთა პალატის სამხედრო კომიტეტი. პალატის წევრები ხუთშაბათს სალამოთი ჩამოვიდენ პარიზში.

**კოლჩაკის წინ-სვლა.**

ციმბირის არმია ისე მარჯვედ მოქმედებს, რომ მთავრობა უკვე ეკატერინებურგში გადავიდა. ადმირალი კოლჩაკი მალე იმ სახლში დაბინავდება, სადაც ერთი წლის წინად მეფე და მისი ოჯახი ამოხოცეს.

**მიუნხენის ალება.**

წითელ - გვარდიასთან მედგარი ბრძოლის შემდეგ ბავარიის მთავრობის ჯარმა ქ. მიუნხენი დაიჭირა. კომუნისტებმა დახვრიტეს მრავალი მძევალი, მათ შორის გრაფი ბომერიც.

მიუნხენში ჰოფმანის მთავრობამ გაიმარჯვა, თუმცა, როგორც ეტყობა, არეულობა გრძელდება.

**კონაუტის ჰერცოგის გამგზავრება.**

კონაუტის ჰერცოგი გუშინ ლონდონიდან გაემგზავრა გენ. ულიამ რობერტსონის და რეინის საოკუპაციო ჯარის სანახავათ.

**შავი ზღვის ჯარი.**

ჯარისადმი გუშინ გაცემულ ბრძანებაში ნათქვამია, რომ 1919 წ. მაისიდან სალონიკში მდგომ ინგლისის ჯარს „შავი ზღვის ჯარი" დაერქმევა სახელათ.

## ინგლისური პრესა.

**ადმირალ სიმსის სიტყვა**

ადმირალმა სიმსმა ნიუ-იორკში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ დიდი ბრიტანიის ფლოტის დაუხმარებლად გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, თუნდაც ამერიკას 10 მილიონიანი გაწვრთნილი ჯარი ჰყოლოდაო. ყოველმა ამერიკელმა უნდა იცოდეს ინგლის-ამერიკის ნამდვილი დამოკიდებულება, რომ პასუხი გასცეს გერმანელთა შხამიან პროპაგანდას. ადმ. სიმსმა სთქვა: თუ ქვეყნიერობაზე ცხოვრება გაადვილდა, ეს იმის შედეგი იქნება, რომ ორმა ერთ ენაზე ინგლისურად მოლაპარაკე ერმა გადასწყვიტა, მტკიცედ დაუჭირონ მხარი ერთმანეთს.

**ბელგიის ზარალის ანაზღაურება**

ბელგია ჯერ კიდევ არ არის დაკმაყოფილებული, რადგან ჯერ გამორკვეული არ არის რაოდენობა ზარალის ანაზღაურების პირველი ნაწილისა, რომელიც ბელგიას უნდა გადაეცეს. ფიქრობენ, რომ ყოველ შემთხვევაში იგი ას-მილიონ გირვანქა სტერლინგზე ნაკლები არ იქნება.

**კლემანსოზე თავდამსხმელი**

ლიონიდან იუწყებიან, რომ კლემანსოს ახლოს ერთი ანარქისტი დაუპატიმრებიათ. ის შაბათს შეუნიშნავს საიდუმლო პოლიციის აგენტს, რომელიც ფრანკლინის ქუჩაზე პოსტზე იდგა. ანარქისტი კლემანსოს გამოსვლას უცდიდა. დაპატიმრებული პოლიციაში მიუყვანიათ. ჯიბეში მას აღმოაჩნდა ხანჯალი, რამდენიმე ანარქისტული ფურცელი და შავი ცხვირსახოცი წარწერით: „ანარქისტთა კლუბი".

## გერმანული პრესა

**დაპყრობილ ოლქების პრესა.**

დაპყრობილ ოლქებში საფრანგეთის ჯარის სარდლობამ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემათა გამოსვლის ნება დართო იმ პირობით, თუ მათ პოლიტიკაზე ერთი სიტყვაც არ იქნება. ყოველდღიური საექიმო ჟურნალმა ეს პირობა არ მიიღო ამერიკის, ინგლისის და ბელგიის ჯარის სარდლობამ რამოდენიმე ხანეა, რაც ნება დართო პერიოდულ სამეცნიერო გამოცემათა გაზიდვას.

**მიუნხენის ალების შემდგომ.**

მიუნხენში ბრძოლა გრძელდება მძევლების დახვრეტის შესახებ ოფიციალურად იუწყებიან, რომ დახოცილთა გვარები ვერ გაარჩიეს, რადგან ძალიან დამახინჯებულია და ბევრს თავი მოჭრილი აქვს. მთავრობის ჯარის ზარალი უმნიშვნელოა. სპარტაკელების მხრით ბრძოლაში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას. ლიდერები ენგელ პაფერი და ლანდაუენი დააპატიმრეს, მათგანი პირველი დახვრიტეს. მთავრობის ჯარს მოუკლეს გენ. ნაგელი. გერმანიის სხვა ოლქებში სრული სიწყნარეა; ასეთივეა მდგომარეობა ჰამბურგსა და ბრემენში, სადაც გაფიცვა გრძელდება.

მიუნხენში მთავრობის ჯარი შევიდა. ქუჩებში მკაცრი ბრძოლა გაიმართა, რის შემდეგ ქალაქი სპარტაკელებისაგან გასწმინდეს. ბრძოლის ხელმძღვანელს გენ. ფონთვეის ნოსკემ მადლობა გამოუცხადა.

უკანასკნელ ხანამდე მიუნხენში 5000-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს. სპარტაკელების ბელადი ველგოვერი

სამხედრო სასამართლოს დადგენილებით დახვრიტეს ტოლერი ქუჩაში მოკლეს, ბრძოლის დროს, ლევიენი ჰაეროპლანით გაიქცა. დახოცილ მძევლების შორის ვერ იპოვნეს მხატვარ სტუკის და პროფესორ დოპერლინის გვამები მხატვრები ზეიდლოცი და ბურგერი ორივე მოუკლავთ

**ეროვნული ყრილობა.**

ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარე ფეირენბახმა დეპეშით აუწყა პარლამენტის წევრს, რომ სამშაბათს არავითარი სხდომა არ იქნება და წინადადება მისცა მათ ბერლინში წასასვლელად მოემზადნენ.

**პროფ. იაფფე.**

პარიზში გაიწვიეს პროფესორი იაფფე, როგორც აღმოსავლეთის საკითხების ექსპერტი.

**გერმანულ-ავსტრიის და საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობა.**

გერმანულ-ავსტრიასთან სავაჭრო ურთიერთობა აღსადგენად ვენაში პარიზელ ვაჭართა დეპუტაცია ჩამოვიდა.

**ლიოდ გარტმანის გამგზავრება.**

გერმანულ ავსტრიის ბერლინელი ელჩი პროფესორი ლიოდ გარტმანი ვენაში წავიდა.

**გრაფ რანტცაუ.**

გრაფმა რანტცაუმ ვერსალში „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტს საუბრის დროს განუცხადა: „ზოგი მე მაბრალებს ვითომ ხელს ვუწყობდე მოკავშირეთა შორის უთანხმოების გაძლიერებას. მაგრამ მე არ მიცნობენ. მე მიზნათა მაქვს მხოლოდ სამშობლოს სამსახური, თანხმათ ჩემი რწმენისა და მე არა დროს არ მიფიქრია მესარგებლა მოკავშირეთა უთანხმოებით. მოკავშირეთა სრულ გათიშვაზე ვერავინ იოცნებებს, რადგან შეთანხმების სახელმწიფოებს ეკონომიური საკითხები უფრო აკავშირებს ერთმანეთთან, ვიდრე პოლიტიკური.

**გაფიცვის დასრულება სილეზიაში.**

ზემო სილეზიაში გაფიცვა დასრულდა მუშაობა ყველა მაღაროებში განახლდა.

**ბავარიის პრეზიდენტი ბერლინში.**

ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტს ორშაბათს ღამე ბერლინში მოელიან.

**მოსკოვი**, მაისის 6. ც. ა. კ, ბ. ბ. ბიულეტენი.

**ოდესა**, მაისის 5. გემი „ბათომი", რომელზედაც თეთრგვარდიელებითა 250,000 ფუთი სამხედრო მასალით იყო დატვირთული და რომელიც დენიკინის ჯარის დასახმარებლათ იგზავნებოდა, ბალაკლავასთან აფეთქდა: ფიქრობენ, რომ ის მეზღვაურებმა ააფეთქეს.

**ნაუენი**, მაისის 4. გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანიის ეკონომიურათ ასეთი შევიწროვება იმას ჰნიშნავს, რომ საფრანგეთი ცდილობს გერმანიასთან ახალი ეკონომიური ომი დაიწყოს და ამ ომში ნეიტრალური ქვეყნებიც ჩაითრიოს. შვეიცარია პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ საფრანგეთი შვეიცარიის ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევას სცდილობს.

მოსული ცნობებით, როვნოში, ჟიტომირში და ბერდიჩევში პეტლიურას ჯარის მიერ მომხდარ რბევის დროს 5,600 კაცამდეა მოკლული.

ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კავშირი ოქტომბრისათვის ევროპის ერთ ერთ სატახტო ქალაქში საერთაშორისო ყრილობას იწვევს.

გერმანიის გაზეთები ფიქრობენ, რომ თუ მოკავშირეებმა ხელშეკრულების მუხლობრივი განხილვა არ მოისურვეს. მაშინ გერმანია იძულებული იქნება ხელშეკრულება სრულიად არ მიიღონ.

**მოსკოვი**, მაისის 4. პსკოვში 300 ტყვე მოვიდა. მათგან 300 ვოლმარის მიმართულებით თავის ნებით დაგვნებდა.

**ბუდაპეშტი** მაისის 5. ვენაში ჰუნგრეთის საელჩოს შენობას თავს დაესხნენ ჰუნგრეთის კონტრ-რევოლიუნერები, განსაკუთრებით ოფიცრები პოლკოვნიკ ტაკანტოლვაის ხელმძღვანელობით. თავდამსხმელებმა გაიტაცეს 150 მილიონი კრონი. ფულის წამღებთ ხელ წერილი ჩამოართვეს (დამახინჯებულია). სამხედრო კომისიამ.

**სამარა**. მაისის 5. გუშინ სერგიევსკი დავიჭირეთ. ბუგურუსლანთან მთელი რკინის გზა ჩვენს ხელშია. შევჩენკოს სახელობის პოლკი ჩვენ დაგვნებდა და საერთო კრებაზე გადასწყვიტა „ლენინის პოლკი" დაერქვას და კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველათ წავიდეს. საელჩოში მოსულმა ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს: იმ თავდასხმის გამო რომელიც ისეთ შენობაში მოახდინეს, რომელიც ექსტერიტორიური უფლებით სარგებლობს, და კონტრ-რევოლიუციურ აქტის გამო, რომელიც მოხდა გერმანულ-ავსტრიის მთავრობის მიერ დაცულ ჰუნგრეთის და თავის კონტრ-რევოლიუციონერების წყალობით პროტესტის განცხადების შემდეგ ჰუნგრეთის მთავრობის წარმომადგენლები ბუდაპეშტში გაემგზავრენ: ჰუნგრეთის საბჭოთა მთავრობამ ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრს მიმართა ნოტით, სადაც აცხადებს, რომ თუ ჰუნგრეთის საბჭოთა მთავრობა დაკმაყოფილებული არ იქნება, იმ შემთხვევაში ისინი ბუდაპეშტში ჰუნგრეთის საელჩოს მიმართ იმავე ზომებს მიიღებენ.

**ნაუენი.** მას. 4. ვერსალიდან მოსული ცნობით, პარიზის კონფერენციაზე მიუღიათ გადაწყვეტილება, აიძულონ გერმანია 1921 წ. პირველ მაისისთვის კონტრიბუციის ანგარიშში გადაიხადოს 125 მილიარდი ფრანკი ოქროთი უცხოეთის და გერმანიის საპროტესტო ქაღალდებით.

**სამარა.** მაისის 5. გუშინ დილის 9 საათზე, სამი დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენ ქ. ბუგურუსლანი და სოფ. დატომკა დავიჭირეთ. სოფ კუზმინსკთან ბრძოლის დროს ჩვენ დაგვნებდა 1000 კაცი, 11 ტყვიისმფრქვეველით და სამი ზარბაზნით. სარაიტთან ჩვენმა ჯარმა ტყვეთ წამოიყვანა 1550 კაცი. ბუგურუსლანის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე დაამარცხა და გადავიდა მდ. სავრუხზე და 4 სოფელი დაიჭირა. სერგიევსკთან მოწინააღმდეგემ ჩვენი ჯარის შევიწროვება სცადა, მაგრამ მოვიგერიეთ სერგიევსკ-კრეტოვკასთან მოწინააღმდეგე ძლიერ დავამარცხეთ და ბოგოიავლენსკოე და სუხოდოლი დავიჭირეთ. ჩისტოპოლის მიმართულებით ჩვენ უბასი და კრასნი იარი დავიჭირეთ

**ნალენს**, მაისის 5. ტიროლის ქრისტიანთა სოციალისტურმა პარტიამ წინადადება მისცა ტიროლის ეროვნულ ყრილობას ტიროლის დამოუკიდებლობა გამოაცხადოს.

**კიევი**, მაისის 3. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ცნობები მოუვიდა, რომ საქართველოს მთავრობამ აფხაზეთს შინაურ საქმეებში სრული ავტონომია მიანიჭა.

**შენკურსკი**, მაისის 5. გუშინ დავაზიანეთ მტრის ერთი ჰაეროპლანი რომელიც პოზიციებს მოშორებით ჩამოვარდა მფრინავებმა დამალვა მოასწრეს:

**ვარშავა**, მაისის 4. შეერთებულ შტატების წარმომადგენელთა წარმომადგენელმა გიბსენმა პისლედსკის ჩააბარა რწმუნებულების ტრამატა, გიბსონმა თავის მისალმების სიტყვაში აღნიშნა, რომ ვილსონი, ჯერ კიდევ შეერთებული შტატების ევროპის ომში ჩარევამდე, მომხრე იყო პოლონეთის აღდგენისა. საპასუხო სიტყვაში პილსუდსკიმ უთხრა, ამერიკა პოლონელებისათვის მეორე სამშობლო გახდაო.

**ნაუენი** მაის. 5 შაბათს, ბერლინში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე კომუნისტებმა წინადადება შეიტანეს, საბჭოს შემადგენლობიდან შეიდემანელები გამოირიცხონ წინადადება ხმის უმეტესობით გავიდა. სოც.-დემოკრატებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დასტოვეს.

**ბუდაპეშტი** მაისის 5. ჰუნგრეთის საბჭოთა ბიურო იუწყება, რომ სოლნოკთან, მდ. ტისაზე მაისის 5 მცირე შეტაკება მოხდა. მისკოლცის რაიონში ჩეხები სამხრეთისაკენ წინ მიიწევენ. ჩვენმა ჯარმა ემედთან ახლო პოზიციები აიღო. სალფოტარიელის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი ახალ პოზიციებზე მაგრდება.

**ნაუენი.** მაის. 6. მიუნხენი საბოლოოთ მთავრობის ჯარმა დაიჭირა. მხოლოდ ქალაქის განაპირა ადგილებში კომუნისტები კიდევ განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას. სწარმოებს ჩხრეკა ართმევენ იარაღს. დაიწყეს სახალხო მილიციის შედგენა. ქუჩაში ბრძოლის დროს მოკლულია 159, დაჭრილია 900, ქალაქში შემოსულ ჯარს შეუცახყოფას აყენებენ. შაბინგის რაიონში ემუქრეაოდენ, რომ ამ დამარცხებას გადაუხდიან.

მიუნხენში 5000 ზე მეტი კაცი დააპატიმრეს კომუნისტი ჰელგოფელი დახვრიტეს. ტოლერნი მოკლეს ქუჩაში ბრძოლის დროს. ლევინი, როიელიც მიუნხენიდან ჰაეროპლანით აფრინდა მთავრობის ჯარს დანებდა.

**ლიონი**, მაისის 5. იტალიის ელჩმა გრაფ ბონონ-ლონგარემ პიშონს შეატყობინა, რომ მას რომიდან ოფიციალური დეპეშით აუწყეს, რომ სონინო და ორლანდო რომიდან დღეს გავლენ და ოთხშაბათს დილით პარიზში იქნებიან.

**კიევი**. მაის. 4. საგარეო საქმეთა კომისარმა რაკოვსკიმ რუმინიის მთავრობას ულტიმატუმი გაუგზავნა, რომ რუმინელებმა ბუკოვინა დასცალონ. პასუხის ვადა 24 საათია განსაზღვრული. სამხედრო კომისარი პოდვოისკი იუწყება, რომ ბუდაპეშტის რესპუბლიკის გასანადგურებლად დაწყებული რუმინელების და ჩეხების შემოტევამ უკრაინის გლეხთა რესპუბლიკა აიძულა ულტიმატუმი წარედგინა რუმინიის მთავრობისათვის.

**ბუდაპეშტი**, მაისის 4. ბუდაპეშტის საბჭომ მტკიცეთ გადასწყვიტა, რომ უმჯობესია იარაღით ხელში სახელოვათ მოკვდეს, ვიდრე რევოლიუციის გაცემით მოპოებულთ და ღირსების ამყრელ ზავს დასთანხმდეს. ცენტრალურ საბჭომ სხდომაზე დაუფარავათ დაახასიეთა მდგომარეობა ფრონტებზე. საკითხი იმაშია, სურს თუ არა ბუდაპეშტის პროლეტარიატს იბრძოლოს დიქტატურის შესანარჩუნებლათ ლამაზი სიტყვები და ოვაციები საქმეს ვერ გამოასწორებს, საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა უკანასკნელ საშუალებამდე. შემდეგ ბელაკუნმა სხდომას აუწყა, რომ რევოლიუციონურ საბჭოთა მთავრობას სურს ზავის მოპოვება, როგორც თავის დროზე ამას რუსები სცდილობდენ ბრესტ-ლიტოვსკში, სულის ამოსათქმელათ ბუდაპეშტის დაცვას მსოფლიო რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს. დეპუტატმა ააუზრიემა განაცხადა, რომ დილის 8 საათზე ფრონტზე მიდის მშვენივრათ მოწყობილი და შეიარაღებული მუშათა 18 ბატალიონი და წინადადებას აძლევს დელეგატებს ჩადგენ მათ შორის. დიდი ოვაციების შემდეგ ბელა-კუნმა დიდის აღფრთოვანებით მოუწოდა ყველას იარაღი აიღონ ხელში. ამ მოწოდებამ დიდი ნაყოფი გამოიღო დღეს ბუდაპეშტი ერთ მთლიან ყაზარმას წარმოადგენს და ყველა ვარჯიშობს.

# ივ. ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე

(დასასრული)

ძალიან საძაგელი წერილები დაიბეჭდა იმ დროს გენ. ოდიშელიძეზე. მას აბრალებდენ, რომ მან ოსმალეთიდან აიღო ქრთამი, და აზრუმი და ყარსი უბრძოლველად გადასცა ოსმალეთს. ეს სისაძაგლე ვერ მოითმინა ოდიშელიძემ და მან დასაბუთებული წერილი დაბეჭდა გაზეთში, საცა ამტკიცებდა აზრუმის და ყარსის დაკარგვაში თვით სომხები არიან დამნაშავენიო: ჯერ მტერი არც კი მოახლოვებოდა აზრუმს, რომ სომხის ჯარის კაცები გაიქცნენ იქიდან. მათ ღენერალ ანდრანიკს უნდოდა ისინი შეეჩერებინა, მაგრამ ჯარის კაცებმა დასჭრეს იგი და აზრუმს თავი მიანებეს. ესევე ამბავი ყარსში დატრიალდა. ამის შემდეგ სომხებმა თავი გაანებეს ასეთ ამბებზე წერას, შემდეგ საზოგადოდ საქართველოს წინააღმდეგ იწყეს წერა. სომხები აბრალებდენ ქართველებს, რომ მათ შეკრეს ყველა გზები და სომხეთში არ უშვებენ არავითარ სანოვაგეს, არც მედიკამენტებს, და ხელს უწყობენ სომეხთა ამოჟლეტას. ქართველები გამოქცეულებს სასტიკად ეპყრობიან და ჟლეტენ მათ. ერთი სიტყვით არავითარი სისაძაგლე არ დარჩა, რაც სომხებს ქართველებისათვის არ მიეწერნათ. ამავე დროს სომხეპი გამოდიოდნენ ქომაგად ყველა დაჩაგრულ ერისა. მაგალითად დაბეჭდილი იყო წერილი აბხაზეთზე—წერილი ჰღაღადებდა: „ქართველები ჟლეტავენ და ავიწროვებენ პატარა თავისუფლების მოყვარე ერს აფხაზებს. მხოლოდ სომხები ეხმარებიან მათ, და სცდილობენ იხსნან ისინი ქართველების მტარვალობისაგან. ამ გაზეთების აზრით ერთად-ერთი ერი, რომელზედაც შეიძლება დაეყრდნონ მოკავშირენი, არიან სომხები, რომ მხოლოდ სომხები იყვნენ და არიან ინგლის-საფრანგეთის მოკავშირენი და, როგორც ასეთებს, მხოლოდ მათ აქეთ უფლება დაშვებულ იყვნენ საზავო კონფერენციაზედ. ამავე დროს გამოქვეყნდა ის ტერიტორიალური მოთხოვნილებანი, რომელიც წარუდგინა სომხების დელეგაციის თავმჯდომარემ ნუბარ-ფაშამ პარიზის კონფერენციას. სტამბოლის გაზეთებში და თბილისის გაზეთებშიც ეს მოთხოვნილებანი სისწორით არ იყო მოყვანილი. მალე სტამბოლში მივიღეთ ინგლისურ ფრანგული გაზეთები და იქიდან გავიგეთ აშკარად თუ რა მოუთხოვნია ნუბარ-ფაშას. მხოლოდ მაშინ მივხვდით, თუ ასეთის გაშმაგებით რათ ებრძოდენ საქართველოს სომხები. სომხებს უნდოდათ რომ კონფერენციაზედ ქართველები არ ყოფილიყვნენ, რათა სომეხთა ტერიტორიულ მოთხოვნილებისათვის კრიტიკა არავის გაეწია. სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიები კი ძალიან გადაჭარბებული იყო. ინგლისის გაზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებში დაიბეჭდა რუქა იმ ტერიტორიისა, რომელსაც ნუბარ-ფაშა მოითხოვდა. ეს რუქა შემდეგ დაიბეჭდა ფრანგულად სხვა და სხვა საღებავებით. სომხების დელეგაცია სომხეთის უდავო ტერიტორიად სთვლიდა იმ ადგილებსაც კი, რომელნიც სომხეთს არც როდის არა სჭერია. მაგალითად თბილისი, მცხეთა, ბათუმი ნუბარ ფაშის აზრით უდავო კუთვნილებაა სომხეთისა. სომხეთს უჭირავს უზარმაზარი ტერიტორია. აღმოსავლეთიდან სომხეთი ისაზღვრება კასპიის ზღვით, ბაქოც სომხეთში შედის. ჩრდილოეთიდან სომხეთის საზღვარი გადმოდის განჯის და თბილისის გუბერნიებზედ. ასდევს მტკვრის ხეობას, ისე კი რომ რეინის გზის ლიანდაგი სომხეთში რჩება, გადადის ახალციხეზედ და ჩადის ბათომში. სამხრეთით თითქმის მთელი ჩრდილოეთ სპარსეთი ქალაქ თავრიზით შედის სომხეთში. მცირე აზიის დიდი ნაწილი და კილიკიაც სომხეთის ნაწილებს შეადგენენ. ერთი სიტყვით სომხებს ძალიან დიდი იმპერიალისტური მადა გამოუჩნდათ. სომხები ქართველებსა სწამებდნენ იმპერიალისტობას, და იმპერიალისტობაში მათ ყველაფერს გადააჭარბეს. ამ მოთხოვნილებამ საფრანგეთის პრესაში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია, სომხებისადმი კარგად განწყობილი ფრანგული გაზეთები ურჩევდნენ, რომ სომხებს შეემცირებინათ თავიანთი მოთხოვნილებანი. ფრანგული გაზეთები აშკარად სწერდნენ, რომ ისინი კილიკიის ცოცხალი თავით სომხებს არ დაუთმობენ ინგლისური გაზეთებიც სწერდნენ, რომ მესოპოტომიას ინგლისი არ დაუთმობს სომხებს. როგორც გამოირკვა 1916 წლის ხელშეკრულობით ოსმალეთი უკვე განაწილებული ყოფილა მოკავშირეთა შორის, და კილიკია შეხვედრია საფრანგეთს, მესოპოტომია კი ინგლისს. ამან გამოიწვია ინგლის-სომხეთის, და საფრანგეთ-სომხეთის დამოკიდებულობის გაცივება. სომხებს მოუსპეს ყველა უპირატესობანი. სტამბოლის სომხურ-ფრანგული გაზეთები ამის შესახებ სდუმდნენ. მაგრამ სომხებს იარაღი არ დაუყრიათ და თავის მფარველად მათ გამოაცხადეს ამერიკა. მხოლოდ სომხები ისე მოიქცნენ, რომ ამერიკის მფარველობა თითონ კი არ წამოაყენეს, არამედ ბერძნებს წამოაყენებინეს საზავო კონფერენციაზედ. მაგრამ ამ წინადადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია. სომხეთის დელეგაცია საზავო კონფერენციაზედ არ დაუშვეს მიუხედავად იმისა რომ მთელი დედა მიწის ზურგიდან საზავო კონფერენციას მისდიოდა ?უარებელი დეპეშები, რომელნიც მოითხ?ვდნენ სომხეთის დელეგაციის დაშვებას. საზავო კონფერენციაზედ ჯერ არ წამოუყენებიათ ისეთი საკითხები, რის გადაჭრაშიც საჭირო ყოფილიყო საქართველოს დელეგაციის დასწრება. საქართველომ იმით არაფერი წააგო, რომ კონფერენციაზე დროზედ არ გაუშვეს. საქართველოსთვის იმისთანა პირობებია, რომ მი?ი დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის. თუმცა საფრანგეთსა სურდა ძველი რუსეთის აღდგენა, რომ მას გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირე ჰყოლოდა, მაგრამ თითონაც დარწმუნდა რომ ეს შეუძლებელია. ინგლისს ძალიან ეშინიან რომ კვლავ მოღონიერებულ რუსეთმა ინდოეთისაკენ არ გაიწიოს, ამისთვის მის ინტერესს შეადგენს რუსეთის ბატონობა კავკასიონის ქედს აქეთ არა სცილდებოდეს, მაშასადამე ამ მხრივ საქართველოს საფრთხე არ მოელის. საჭიროა მხოლოდ რომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება შეეჩვიოს იმ აზრს რომ საქართველო მუდამ უნდა ემყარებოდეს თავის თავს, და თავისის ძალღონით მას შეუძლია შემუსროს გარედან შემოსეული მტერი. საქართველოსთვის საჭირო არ არის ვისიმე პროტექტორატი. ბედი ცვალებადია, სხვისი მფარველობა კი ჩვენ მოგვადუნებს. საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენი სამშობლო ისეა შემოფარგლული, რომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას ბუნებრივი სიმაგრეები საზღვრავენ. დასავლეთიდანაც საზღვრავს ზღვა. მხოლოდ ერთად ერთი საზღვარი რომელიც ღიაა, ეს არის აღმოსავლეთის საზღვარი. საქართველოს თავის დასაცავად მხოლოდ ამ საზღვრის ხელოვნურად გამაგრება დასჭირდება. მშვენიერი საზღვრების გამო, საქართველოს არ დასჭირდება დიდი ჯარის შენახვა, საჭირო დროს საქართველო შემოჰკრებს თავის შეგნებულ შვილთ, რომელნიც სამშობლოს დაიცავენ. საჭიროა მხოლოდ რომ ყოველ ქართველს ჰქონდეს სამხედრო ცოდნა. ჩვენ სამშობლოს რამდენიმე აოეული საუკუნე უცხოვრია. ბევრი ჭირ ვარამი გადუტანია, მაგრამ იგი ისევ ისე სდგას, როგორც სალი კლდე, მაშინ როცა მის დამპყრობი სახელმწიფ?ნი დაშლილან, განადგურებულან, და ბევრნი მათგანი სრულებით აღგვილან დედამიწის ზურგიდან.

ამ გვარად ჩვენი სამშობლოსათვის საზრუნავია რომ მან განამტკიცოს თავის დამოუკიდებლობა, დაემყაროს მხოლოდ თავის ძალებს, დარჩეს კვალად ნეიტრალური ამ მსოფლიო ომში და სახელმწიფოთ ფეხის ხმას არ აჰყვეს

**გ. ბ—ძე.**

## მრეწველობა

**სვანეთის ოქრო.**

გეოლოგიური გამოკვლევანი სვანეთის ოქროსი სიმონოვიჩისა და შოსტაკისა არამც თუ დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, არამედ მხოლოდ ნაწყვეტებია დაწყებულ მუშაობისა, ვინაიდან ვერ მოუსწრიათ სათავეში გაჰყოლოდენ კვალს და ასულიყვენ სვანეთის მწვერვალებზე. შარშან სამთო სამმართველოს ექსპედიციამ სვანეთში წასვლა ვერ მოასწრო რადგან ზამთარში სვანეთის გზები გაუვალნი არიან და როგორც კი გაიხსნება გზები ექსპედიცია გაემგზავრება სვანეთისაკენ.

**ალავერდის სპილენძი.**

ალავერდის და შამბლუღის სპილენძიან მაღაროებში საერთო მუშაობა და აგრეთვე გამოდნობა სპილენძისა კარგახანია შეჩერებულია უნავთობისა და უკოკსობისა გამო.

ალავერდის ქარხანის წარმოება ნავარაუდევია 200,000 ფუთი სპილენძის გამოდნობაზე. ჯერ-ჯერობით გამოკვლეულია დაახლოებით 4 მილიონ ფუთამდე მადნის რაოდენობა, რაიც ნორმალურ პირობებში 1 წელიწადს ეყოფა ქარხანას. თუ ნავთი და კოკსი გაჩნდა,—ეს შეწყვეტილი მუშაობაც გაჩაღდება ზემოხსენებულ საწინდარა მადნის ამოღებასთან ერთად უნდა გამოილოს ნახევარ მილიონამდე გოგირდის მადანიც და რამდენიმე ათი ათასი ფუთი ცინკის მადანი.

**ინჟინერ ციციშვილის აზრი საქართველოს ნავთიან ადგილებზე.**

ნავთიან ადგილების გამოსაკვლევათ სამთო სამმართველომ კახეთში გაგზავნა სექტემბერში, 1918 წ. თავის გეოლოგი ს. ა. ციციშვილი, რომელმაც დაათვალიერა რა მიწები შემდეგი აზრი გამოსთქვა:

ფხოველის ნავთიანი ადგილები იმყოფებიან 78 ვერსზე კაჭრეთის პლატფორმიდან (კახეთის რკინის გზაზე, გომბორის ქედზე) ბურღვი ომის დაწყების დროს იყო დატოვებული 10 საჟენის სიღრმეზე. ამის გარდა მიწების მოიჯარადრეებისაგან ფხოველში ამოყვანილ იყო რამდენიმე ჰა, რომლებიც იძლეოდენ 5—30 ფუთ ნავთს დღეში. გეოტექტონიკურ გამოკვლევით ანტიკლინალის ზეპირზე შემჩნეულია. უკვე გამოკვლეული ნავთის 7 ღია ფენი, გარდა დაფარული ფენებისა.

ფხოველის მომწვანო დარიჩინის ფერის ნავთი ძლიერ კარგი ღირსებისაა. სანათი ნავთი, ბენზინი და სხვა ნივთეულობა ფხოველის ნავთში აღმოჩენილი არ არის. ამის და მიუხედავათ, ფხოველის ნავთიანი ადგილები მაინც მიიქცევენ ყურადღებას, როგორც მეორე კათეგორიის მადნიანი ადგილები, რომელთა დამუშავება შესაძლოა გაიწიოს შინა მრეწველური მასშტაბით.

—

ილდოყანის ნავთის ადგილები მდებარეობენ 38 ვერსით დასავლეთით თელავიდან თიონეთ თელავის გზაზედ ილტოს მთიან ხეობაში, რომელიც არის შემკული ძვირფას წიფლის ტყით.

აქ ომამდის ინგლისურ ფირმამ გამართა 5 ბურღი, რომლიდანაც 2 აღმოჩნდა ნავთიანი. ომის დაწყებისას ინგლისელებმა მუშაობა შეაჩერეს, მოხსნეს და წაიღეს მოძრავი მოტორები და ბურღის მოწყობილობა, ხოლო ხელ-უხლებლათ დასტოვეს შენობები და მილები.

ილდოყანის ნავთი უმთავრესათ იმყოფება ანტიკლინალის სათავეში და აგრეთვე მის ფრთებზე, ეგრეთ წოდებულ, ანის ხევში, თხილ ხევში და წერეთი-ხევში, ხოლო რაკი ნავთი აღმოჩენილია წყლის ჰორიზონტებშიაც, ამიტომ ადვილი შესაძლებელია ნავთი აღმოჩნდეს აგრეთვე სინკლინალის ნაწილებშიაც; თვით ნავთი ძლიერ სუბუქია, მწვანე ფერისაა და შეიცავს სანათ ნავთს 40—43 პროც. და ბენზინს 12—15 პროც. ნავთი პარაფინანია და წააგავს ახალ-გროზნის ნავთს; საზოგადოთ ილდოყანში ვერ მოველოდებით ბაქოს და გროზნისებურ მდიდარ ნავთის წყაროებს და შადრევანებს. მაინც შესაძლოა ვიფიქროთ, ანტიკლინალის ფრთებზე დაგროვილი ნავთი მრეწველური მნიშვნელობისა ამიტომ გამოსაკვლევ მუშაობის გაგრძელება ამ მხარეში აუცილებელია.

—

შირაქის ნავთი. ქ. ტფილისის თხოვნით, ნავთის დიდ კრიზისის ხანაში იყო ?ამზადებული გეოლოგიური ექსპედიცია შირაქის ველში, სიღნაღის მაზრაში. ამ ექსპედიციას მიზნათ ჰქონდა დასახული შედგენა გეოლოგიურ ანგარიშისა და აგრეთვე ეკონომიური გამოკვლევა. ვინაიდან მუშაობის გარეგანი პირობები მძიმე იყო ექსპედიცია გადიდო, რადგან არ მოიპოვებოდა ახლო არც საკვები, არც სასმელი, და ნავთის ტრანსპორტის საქმეც მეტათ გაჭირდა ელდარში მცხოვრებ ლეკების არეულობის გამო. ამასზე დაერთო ახალი გარემოება, რომ ბაქოდან ნავთის ჩამოტანა შესაძლო გახდა.

—

გურიის ნავთი, ინჟ. ციციშვილი სამთო სამართველოს მიერ გაგზავნილ იყო, გერმანელ გეოლოგთან ბ. ჰფაფან ერთად, გურიის ნავთის მიწები ეკუთვნის მესამე გეოლოგიურ პერიოდს. ნავთით გაჟღენთილ ფენებს შეადგენენ ქვიშნარები თიხა და მირგვლები მიოცენის ჰორიზონტისა, რომლებშიაც საყურადღებოა ჩაკრაკის და ხმელთა შუა ზღვის ზონის ფენები თუმცა გურიის ნავთის მიდამოები შედარებით ბაქოსთან და გროზნის მიდამოებთან ბევრათ უფრო ღარიბია ნავთით, მაგრამ, მაინც, შესაძლოთ იქმნა ცნობილი გურიაში ნავთის წარმოება.

## სამშობლოს გარეთ მყოფ ქართველთა შესახებ

(ქ. ბერდიანსკი. მახნოს შტაბი).

ინჟენერი ივანე არსენიძე კობახიძე იტყობინება, რომ საბჭოთა უკრაინაში და საბჭოთა დიდ რუსეთში ქართველი სტუდენტობა ყველგან გაანთავისუფლეს ჯარიდან, საქართველოს საელჩოებს ბოლშევიკებმა სახელი გამოუცვალეს და ახლა ისინი იწოდებიან „საქართველოს საქმეთა კომისარიატებად“, ყველა იურიდიულ უფლებათა დაცვით. მაისის ბოლოს უკრაინიდან აპირებს წამოსვლას, ქართველთა ეშელონი. უკრაინის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტები ყველანი კარგად არიან. უკრაინის ერთ-ერთ უნივერსიტეტის ანატომიის პროფესორი ნიკოლოზ კახიანი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიუწვევიათ, სამშობლოში წამოჰყვება ქართველთა ეშელონს.

**დონის როსტოვიდან**

პოლკ. ოდიშელიძე იუწყება, რომ დონში ქართველების დევნა ჯერ არ დაუწყვიათ, საქართველოს ელჩი ისევ როსტოვშია. ქართველთა ეშელონი აპირებს წამოსვლას კავკავით.

## კორესპონდენცია

**ქ. ჭიათურის მომხმარებელ საზოგადოების „ჩვენი ოჯახის“ წლიური კრება.**

15—16 აპრილს ქ. ჭიათურის თეატრის დარბაზში მოხდა წლიური კრება „ჩვენი ოჯახის“ წევრთა. კრებამ თავმჯდომარედ ბ. ი. ვარაზაშვილი აირჩია და მდივნად-კი ბ. გ. ნ ძე. განსახილველ საგნებთა შორის საყურადღებო იყო მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, მოგების განაწილება და ახალი გამგეობის არჩევნები. წევრთა რიცხვი ბლომად დაესწრო. კრების სხდომა ორი დღით გაგრძელდა, რითაც დროის შეფარდებით გაუთვალისწინებელი აღარ დარჩა ყველა კოოპერატორთა მოღვაწეობა და ფართო სარბიელი ამ დაწესებულებისა ჩვენ საზოგადოებაში.

გამგეობის წევრმა და თავმჯდომარე ბ. ე. თ—ამ თავის ვრცელ მოხსენებაში აუწყა საზოგადოებას მათი 4 თვის მოღვაწეობა: თუ რა მოულოდნელ ხარჯებს ჰქონია ადგილი „ჩვენი ოჯახისათვის“, რომ სახელოსნო დაახლოვებიათ, მისი შტატი შეუმცირებიათ, კავშირი დაეარსებიათ, რა პირობებში ჩაბარდა მათ ინვენტარი მთელი სიმდიდრით, რა დაბრკოლებები ეღობებოდა წინ წესიერ საქონლის მიმოტანის და ბაზარზე მიწოდებას და დაასკვნა, რომ ამ ცოტა ხნის განმავლობაში მიუხედავად აღწერილ დაბრკოლებებისა კოოპერატივმა მაინც შეძლო მოგება 84058 მანეთი შეენარჩუნებიაო.

ნაწილს საზოგადოებისას მართალია ეს ციფრი დიდათ ეჩვენა და დამსწრე წევრისაგან მაგარი ჩაქუჩიც მოხვდა, მაგრამ მადლობა გამგეობის ამ მოღვაწეობაში იმაში გამოიხატა, როცა მოგების განაწილებაზე მიდგა საკითხი. ვინ არ წამოყო თავი და აღიმაღლა ხმა. ერთმა განაცხადა ქალთა წრეს შევეწიოთ, მეორემ ჭიათურის მუშებს კლუბი არ აქვთ დავეხმაროთო, მესამემ თბილისში კოოპერატივთა მოსამსახურეების კავშირი კვნესის და შკოლაც კოოპერატიული სიღარიბეში იხრჩობა, სოფლის კოოპერატივები დაეხმარენ და თქვენ წინადადებას გაძლევთ 10 პროც. გადადოთ ამ საგანზედ, თორემ განკარგულება ზევიდან მოხდებაო და მრავალი სხვა. კრებამ ყველა ჩამოთვლილ 15 დაწესებულებებს შესაფერი მსჯავრით. გაუმასინძლდა და მოგებული თანხა გაანაწილა: ჯილდოთ გამგეობას 10000 მან. ძირითად თანხას 10 პროც. სათადარიგო თანხას 20 პროც. ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოებას საზოგადო სახლისათვის 20000 მ. ქართულ უნივერსიტეტს 3000 მ. და ქართულ თეატრს იგივე თანხა და დანარჩენი წვრილად აღნიშნულ დარგებს.—„ჩვენი ოჯახის“ ყოფილი გამგეობა მადლობის ღირსია მისი უანგარო ერთგულ მოღვაწეობისათვის, მივაქცევთ რა ყურადღებას მას, რომ იმ თავიდანვე გამოურკვეველ წარმოებით მიიღო კოოპერატივის პატრონობა, რომელ გამოურკვევლობაც ამ დაწესებულებას არგუნა ბ. ბურჯანაძემ, და თუ უკანასკნელი გამგეობა საზოგადოების მოხმარების გზას აცდა, სამაგიეროდ ზარალი მაინც არ უჩვენებია და საქმეს ისე უდიერად არ მოკიდებია. რაც შეეხება კი ამ გამგეობის წინამოადგილების გამგეობის მოღვაწეობის 1917 და 1918 წ. რომელთაც მოგება ცოტა აჩვენეს შედარებით, უნდა ითქვას, რომ მათ ეს არ აინტერესებდათ იმდენად, რამდენადაც საზოგადოებისათვის დახმარება აღმოეჩინათ მაშინ, როცა ქალაქის თვითმართველობა ფეხზედ არ იდგა.—გვახსოვს კარგად, რომ იმ გამგეობამ პურისა თუ ქადის, ან კიდევ მარილის და სხვა სანოვაგის მოწოდებით რამდენადმე სპეკულიაციას გაუმკლავდა და ფასები დასწია და ამას ჩვენ მოგებაზე მეტად ვაფასებთ, რის სახით ივინი კიდევ მეტი მადლობის ღირსნი არიან, რადგან „ჩვენ ოჯახს“ მომხმარებელი საზოგადოება ჰქვიან და ამ გზით უნდა ვიდოდეს.

სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან აშკარად გამოირკვა მათი საქმის ყურადღებით მოპყრობა. მომხსენებელს ზოგან სიჩქარისა გამო თუ ციფრების უადგილობა აღმოაჩნდა; უკვე ყოფილ ბუღალტრის გამოცდილ დ. ა-ძის შესწორებამ საზოგადოება დააკმაყოფილა.

რაც შეეხება ახალი გამგეობის წევრების არჩევას, აქ გულის ამრევი ამბავი იყო. ვერ იქნა ვერ გამოვედით ფრაქციების სახელით უგზო უკლო ხეტიალიდამ. ახალ გამგეობის წევრების საწინააღმდეგო, რომელთაც თვიურად 1000 მანეთი დაენიშნათ არავის საწინააღმდეგო არ აქვს, მაგრამ ყოფილ გამგეობის ამა თუ იმ წევრის გამოცვლა სიფრთხილით უნდა წარმოებდეს, ყოფილ გამგეობის წევრს ან. გ—ს საკინძში ეცნენ რატომ და ს. დ. არ არის და ხელმეორედ ირჩევენ, მაშინ როცა მას იმდენი ღვაწლი მიუძღვის ამ დაწესებულებაში, რომ იგი ყოველთვის ღირსია კოოპერატივშ. საპატიო ადგილი ექნეს, თუ იგი ამას ისურვებს.

დაბოლოს არ შემიძლია საზოგადოების ყურადღება არ მივაქციო შემდეგ გარემოებას, რომ შედიხართ „ჩვენი ოჯახის“ მაღაზიებში იქ ვერც ერთ საქონელს მის ადგილზედ ვერ დაინახავ: ქაღალდი თეთრ პირკალშია გახვეული, ლამპის შუშა ჩუშტში დევს, ასანთი ნავთში აგდია და თუ დაკვირვებიხართ სარეცხი საპონი თვისი ქონიანი შავი ყუთით მთელ მაღაზიაში პირველ ადგილს ამშვენებს. ამას მივაწერთ ნოქართა უყოლობას ერთი ნოქარი იქ სადაც 300000 მანეთის საქონელი აწყვია და ყოველ წუთში ძალზედ მეტი ხალხი მიდის ვერ გახვდება ვერაფერს.—უნდა მიექცეს ყურადღება მას, რომ ფულის განაწილების დროს აუცილებელია საქონლის სიმდიდრესთან ერთათ კოოპერატივის ადმინისტრაციის გამაგრება და გაძლიერება, ვიდრე სალიეთში სასაცილოა არის შესარაგავი და დავეხმაროთო ამ საკითხის წამოყენებას.

**გალ. ქავთარაძე.**



## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა**

დღეს, 8 მაისს ე. ვრონსკის იუბილე წარმოდგენილი იქნება

# ევგენი ონეგინი

9 მაისს „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 10 მაისს „თაისი“.

## ახლად მოწყობილი სტამბა „ხელოვნება“

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ **დაკლებულ ფასებში.**

**საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს**

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წევრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—7)



## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლი ან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსიხქენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

**კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.**

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

**თბილისიდან-მელაანამდე.**

საავარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 სათზე და 50 წუთზე.

საავარაკო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

**თბილისიდან-თელავამდე.**

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

**თელავიდან-თბილისამდე.**

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საავარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

**გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე.**

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

**წნორის-წყლიდან-გურჯაანამდე.**

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)



**ე ქ ი მ ი**

## ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

**მედიცინის დოკტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის — ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9–1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—52.

**სამკურნალო კაბინეტი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

## ბეჟიტაძისა

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ“-ის პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მედიცინის ექიმი**

## ი. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სასლრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—48